# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

15-30

## დადგენილება № _____

"_25_" _ნოემბერი_ 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და $135^1$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევე ბისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $209^3$ მუხლის მე-4 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განისაზღვროს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და $135^1$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული საჩივრების საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად განხილვის შედეგად, გადაწყვეტილება მიიღოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დადგენილება).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერის 2010 წლის 14 ივნისის N11 ბრძანება "ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და $135^1$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა-თვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ".

4. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და $135^1$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ"

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $209^3$ მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე და $135^1$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური. აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად ქალაქ თბილისის მერმა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, 2010 წლის 11 ივნისის N11 ბრძანებით, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განსაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და $135^1$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა-თვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად.

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"

61-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებიდან ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად განისაზღვრა მხოლოდ საკრებულოს დადგენილება, მერის ბრძანება კი - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, ამასთან 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ დღის წესრიგში დააყენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით ჩანაცვლების აუცილებლობა. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

დადგენილების პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, ხოლო პროექტის წარმომდგენი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.